საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთრი წყალი

თეთრი წყალი (თანამედროვე აღსუ), მდინარე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. თ. წ-ზე XII ს. საქართველოს სამეფოს ჩრდ.-აღმ-ის საზღვარი გადიოდა. მდინარე საქართველოს სამეფოს უშუალო შემადგენლობაში მყოფ შირვანის დას. ნაწილს მიჯნავდა ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი აღმ. ნაწილისაგან.

XIII ს-ში, როდესაც საქართველოს სახელმწ. მონღოლებმა დაიპყრეს და მას ყმადნაფიცი ქვეყნები ჩამოართვეს, საქართველოს ჩრდ.-აღმ-ის საზღვარი მაინც მდ. თ. წ-ზე (მონღ. ჩაღან-უსუნი) გადიოდა. მომდევნო საუკუნეებში საქართვ. აღმ. საზღვარმა თანდათანობით დას-ით გადმოიწია.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, «მიმომხილველი», III, თბ., 1953.

ჯ. გვასალია

ზ. ცინცაძე